როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს და აღდება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციისა და ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

3.12 მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შემენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შემენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შემენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

3.13 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმო ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, რომელსაც (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), დამატებული ან გამოკლებული აქვს გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან

3.14 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც: რეალური ღირებულების შეფასებული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით; დაფარვის ვადამდე ფლობილი; გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; სესხები და მოთხოვნები;

3.14.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე.

3.14.2 სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სვა მოთხოვნების, ფულადი სახსრების ჩათვლით) ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტის თანხა, გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, რომელიც უნმიშვნელო იქნებოდა, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.14.3 მოთხოვნების გაუფასურება

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურები ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

თუ საწარმო დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა იგი, საწარმო ამ აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსურ აქტივთა ჯგუფს და ერთად ამოწმებს მათ გაუფასურებას. პორტფელის გაუფასურების ობიექტურ ნიშანი შეიძლება იყოს წარსულის მონაცემები დაფარვასთან დაკავშირებით, დაფარვის საშუალო ვადის გადაცილება, რომელიც საწარმოს მიერაა დადგენილი, ასევე საგრძნობი ცვლილება ეკონომიკაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნების დაფარვაზე. მტკიცებულების

არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის განსაზღვრა. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.15 ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია მიღებული სესხების, სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3.16 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3.16.1 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების (როგორცაა საპროცენტო და სხვა დანახარჯები) აღიარება ხდება ხარჯის სახით, გარდა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული იმ დანახარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან. განსაკუთრებული აქტივთან დაკავშირებული ნასესხები საშუალებების დანახარჯები აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში.

მაშინ, როდესაც საწარმოს მიერ აღებული ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, გამოიყენებული იქნება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. იგი გამოითვლება როგორც ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების საშუალო შეწონილი სიდიდის თანაფარდობა საწარმოს ნასესხები სახსრების იმ ნაწილთან, რომელიც გადავადებულია მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში და განკუთვნილი არ არის განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად.

3.16.2 იჯარა

იჯარაკლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად საიჯარო გადასახდელები იჯარის ვადის განმავლობაში ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით.

3.17. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ფინანსური ანგარიშგების მომზადება

ა. ფინანსური ანგარიშგების მიზანი

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი. ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც გამოადგება მომხმარებელთა ფართო წრეებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბ. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

- ა) პერიოდის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას;
- ბ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;
- გ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;
- ასევე
- დ) განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;
- ე) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას.

გ. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და წარდგენა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

სამართლიანი წარდგენა

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგები და ფულადი ნაკადები. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების კეთილსინდისიერად ასახვას, აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში.

იგულისხმება, რომ სტანდარტების გამოყენებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით განმარტებებთან ერთად, აკმაყოფილებს სამართლიანი წარდგენის კრიტერიუმებს.

სამართლიანი წარდგენა ასევე მოითხოვს, რომ საწარმომ:

- ა) შეარჩიოს და გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ბ) ინფორმაცია იმდაგვარად წარადგინოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის შესაბამისობა, საიმედოობა, შესადარისობა და აღქმადობა; და
- გ) უზრუნველყოს დამატებითი განმარტებითი ინფორმაციის მიწოდება, როდესაც სტანდარტის კონკრეტული მოთხოვნები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მომხმარებელმა აღიქვას ცალკეული ოპერაციისა თუ მოვლენის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე.

დარიცხვის მეთოდი ბუღალტრულ აღრიცხვაში

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა.

ბუღალტრულ აღრიცხვაში დარიცხვის მეთოდის გამოყენებისას აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების (ფინანსური ანგარიშგების ელემენტები) აღიარება ხდება მაშინ, როცა ისინი დააკმაყოფილებენ კონცეპტუალურ საფუძვლებში მოცემულ განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით- ანუ დაშვებით, რომელიც გულისხმობს საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან სულ მცირე თორმეტ თვეს მაინც, მაგრამ შეზღუდული არ არის ამ ვადით და რომ საწარმოში შემავალი სხვა საწარმოები, განაგრძობენ ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გათვალისწინებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არა აქვს რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

არსებითობა და აგრეგირება

ყველა არსებითი მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ უნდა იქნეს განცალკევებით. არაარსებითი თანხები უნდა გაერთიანდეს ფუნქციების ან შინაარსის ერთგვაროვნების მიხედვით და საჭირო არ არის მათი ცალ-ცალკე წარდგენა.

თუ ცალკე აღებული რომელიმე მუხლი არაა არსებითი, იგი აგრეგირდება სხვა მუხლებთან და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში. ნაკლებად არსებითი მუხლი, რომლის ცალკე მუხლად ასახვა არ მოითხოვება უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს, რომ განმარტებით შენიშვნებში იმსახურებდეს ცალკე წარმოდგენას.

ურთიერთგადაფარვა

საწარმო არ ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვას.

საწარმოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე იყოს წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები. თუ ურთიერთგადაფარვა არ ასახავს ოპერაციის ან მოვლენის შინაარსს, მაშინ მუხლების ურთიერთგადაფარვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის მომხმარებელს მცირე შესაძლებლობას აძლევს იმისათვის, რომ გაერკვეს განხორციელებულ ოპერაციებში, სხვა მოვლენებსა და პირობებში და შეაფასოს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადები.

ანგარიშგების წარდგენის სიხშირე

საწარმომ ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი (მათ შორის შესადარისი ინფორმაცია) უნდა წარადგინოს სულმცირეწელიწადშიერთხელმან, ყოველწლიურად, მომდევნო წლის 01 ოქტომბრამდე. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარული წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

წარდგენის უცვლელობა

ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შენარჩუნდეს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

საწარმოს საქმიანობის შინაარსი მნიშვნელოვნად იცვლება ან, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვიდან ჩანს, რომ სხვაგვარი წარდგენა ან კლასიფიკაცია უფრო მეტად შეესაბამება სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების კრიტერიუმებს.

5. სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება:

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში (სრული შემოსავლის ანგარიშგებაში), მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის განყოფილებების გარდა, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მუხლები:

- ა) მოგება ან ზარალი;
- ბ) სრული შემოსავლის მთლიანი თანხა;
- გ) პერიოდის სრული შემოსავალი, რომელიც ასახავს მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მთლიან თანხას.
- დ) საქმიანობის პერიოდის მიხედვით დაგროვილი/აკუმულირებული, გაუნაწილებელი მოგება-ზარალი.

სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ყველა შემოსავალსა და ხარჯს, მათ შორის მოგებაში ან ზარალში (რომელიც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილ შუალედურ ჯამურ თანხას წარმოადგენს) და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს; ან

განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას და განცალკევებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას. თუ საწარმო გადაწყვეტს როგორც მოგებისა და ზარალის ანგარიშგების, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენას, სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა დაიწყოს მოგების ან ზარალის მუხლებით და შემდგომ უნდა აისახოს სხვა სრული შემოსავლის მუხლები;

თუ საწარმო განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას წარადგენს, ამ შემთხვევაში მას არ ევალება მოგების ან ზარალის განყოფილების გათვალისწინება იმ ანგარიშგებაში, სადაც წარმოდგენილია სრული შემოსავალი.

საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი

საწარმომ სხვა სრული შემოსავლის თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, მათ შორის რეკლასიფიკაციის კორექტირებები, უნდა აჩვენოს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში.

საწარმომ უნდა აჩვენოს სხვა სრული შემოსავლის კომპონენტებთან დაკავშირებული რეკლასიფიკაციის კორექტირებები.

საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი

საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი უნდა აღიაროს მოგებაში ან ზარალში, თუ რომელიმე სტანდარტით სხვა რამ არ მოითხოვება, ან ნებადართული არ არის.

ინფორმაცია, რომელიც აისახება მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში

იმ შემთხვევაში, თუ იმ პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, საწარმოს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი, შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ნაცვლად

თუ საწარმოს არ გააჩნია სხვა სრული შემოსავლები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პერიოდებში, მას შეუძლია წარადგინოს მხოლოდ მოგებისა და ზარალის ანგარიშგება, ან მხოლოდ სრული შემოსავლის ანგარიშგება, სადაც „ბოლო სტრიქონი“ წარმოდგენილი იქნება, როგორც „მოგება ან ზარალი“.

6. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) - წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული პერიოდისათვის. იგი ასახავს საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ოდენობას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

აქტივი - არის რესურსი, რომელსაც წარსული მოვლენების შედეგად აკონტროლებს საწარმო და რომლისგანაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა.

ვალდებულება - არის საწარმოს მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და მის დასაფარავად მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკურ სარგებელში განიკეთებული რესურსების გასვლა.

საკუთარი კაპიტალი - არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში უნდა წარადგინოს დამატებითი მუხლები, ქვესათაურები და ქვეჯგუფების ჯამური თანხები, როდესაც ამგვარი წარდგენა აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის აღსაქმელად.

7. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საწარმომ უნდა წარადგინოს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი, სათავო საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხების ცალკე გამოყოფით;
- ბ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგები.
- გ) საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია:
 - (i) მოგებისანხარალისცვლილებით;
 - (ii) სხვასრულიშემოსავლისცვლილებით; და
 - (iii) მესაკუთრეებთან, როგორცაქციებისმფლობელებთანგანხორციელებულიოპერაციებით, სადაცცალ-ცალკეიქნებანაჩვენებიმესაკუთრეებისშენატანებიდამესაკუთრეებზეგანხორციელებულიგანაწილებები იდამვილობილსაწარმოებშიმისისაკუთრებისწილებისცვლილებები, რომელიცარიწვევსკონტროლისუფლებისდაკარგვას.

ინფორმაცია, რომელიც აისახება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში

საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელმა შეძლოს კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული საწარმოს მიზნების, პოლიტიკისა და პროცედურების შეფასება.

საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდენდების ოდენობა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია, როგორც მესაკუთრეებზე გაცემული განაწილება და ასევე ერთ აქციაზე დივიდენდის შესაბამისი ოდენობა.

ამგვარი განმარტებები უნდა ეყრდნობოდეს ინფორმაციას, რომელიც მომზადდა საწარმოში, საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის.

8. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ფულადი ნაკადები, რომელიც დაჯგუფებული იქნება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობად

ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, რომ შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების უნარი და საწარმოს მოთხოვნილებები, ფულადი სახსრების გამოყენების შესახებ.

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობა ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხების დასაფარად, საწარმოო სიმძლავრის შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალ ინვესტიციათა განსახორციელებლად, დაფინანსების გარე წყაროთა მოზიდვის გარეშე.

მნიშვნელოვანია საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა, რადგან იგი გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნან მომავალი შემოსავალი და ფულადი ნაკადები.

მნიშვნელოვანია საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა, რადგან იგი სასარგებლოა საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად, მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ.

პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები უნდა აისახოს განცალკევებით. მათი კლასიფიცირება უნდა მოხდეს უცვლელად, პერიოდიდან პერიოდამდე, როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. ,

ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენისა და სათანადო განმარტებების მოთხოვნების შესაბამისად, საწარმომ, ხელმძღვანელობისკომენტარებთანერთად, უნდაასახოსმნიშვნელოვანიფულადისახსრებისადამათიეკვივალენტებისნაშთები, რომლებიცსაწარმოსკუთვნის, მაგრამმათიგამოყენებაჯგუფსარშეუძლია.

9. სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვაში საწარმომ უნდა გაამჟღავნოს:

- ა) ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასების საფუძველი
- ბ) თითოეული გამოყენებული სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების სწორად გასაგებად

საწარმომ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასთან ერთად, ან სხვა განმარტებით შენიშვნებში, სააღრიცხვო შეფასებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გარდა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც ხელმძღვანელობამ მიიღო სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში და ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

10. შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	შემოსავალი რეალიზაციიდან	1 702 316	3 519 309
	ჯამი:	1 702 316	3 519 309

11. სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	საკუროსო სხვაობის შემოსავალი	-	-
2	არასაოპერაციო მოგება	2 829	137
3	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	12868	310
	ჯამი:	15 697	447

12. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	საიჯარო ხარჯი	7000	-
2	ტენდერის ხარჯი	200	143
3	საკანცელარიო ხარჯი	752	745
4	მომსახურების ხარჯი	120793	278836
5	ტელეფონის ხარჯი	1104	1057
6	შესყიდული სამუშაოები	118219	204680
7	ელ ენერგიის ხარჯი	26646	35244
8	ინტერნეტის ხარჯი	254	340
9	წყლის ხარჯი	161	93
10	გადაგზავნის ხარჯი	5047	6039
11	ლაბორატორიის ხარჯი	3479	17413
12	მოსაკრებლის ხარჯი	2637	-
13	ბუნებრივი აირის ხარჯი	48975	112334
14	დაზღვევა	1773	1443
15	საკონსულტაციო ხარჯი	10000	10200
16	სამივლინებო ხარჯები	1005	1220
17	ექსპერტიზის ხარჯები	1332	-
18	სხვა	-	6500
	ჯამი	349 374	676 287

13. ფინანსური ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	სესხის %	12754	5027
2	საკურსო სხვაობა	1004	-
3	ბანკის საკომისიო	11159	8857
	ჯამი	24 917	13 884

14. გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(ლარი)			
	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში	1698684	1371459
2	ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში და ხარჯებში	-41379	-800
3	მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	-30813	328025
	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	1 626 492	1 698 684

15. ფულადი სახსრები

		(ლარი)	
	დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2019
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	12446	26261
2	ფული სალაროში	143870	73172
	ჯამი:	156 316	99 434

16. ძირითადი საშუალებები

		(ლარი)						
დასახელება	მიწა	შენიშვნები	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება								
ნაშთი: 31.12.2018	<u>12,060</u>	<u>60,220</u>	<u>74,624</u>	<u>463,278</u>	<u>6,998</u>	<u>1,858</u>	<u>509,964</u>	<u>1,129,002</u>
აქტივების შეძენა	0	0	0	49,763	508	0	34,746	<u>85,017</u>
აქტივების გასვლა	0	0	0	0	0	0	0	<u>0</u>
ნაშთი: 31.12.2019	<u>12,060</u>	<u>60,220</u>	<u>74,624</u>	<u>513,041</u>	<u>7,506</u>	<u>1,858</u>	<u>544,710</u>	<u>1,214,019</u>
აქტივების შეძენა	0	2,597	1,208	0	1,885	0	175,685	<u>181,375</u>
აქტივების გასვლა	0	0	0	0	0	0	0	<u>0</u>
ნაშთი: 31.12.2020	<u>12,060</u>	<u>62,817</u>	<u>75,832</u>	<u>513,041</u>	<u>9,391</u>	<u>1,858</u>	<u>720,395</u>	<u>1,395,394</u>
აღიარებული ცვეთა								
ნაშთი: 31.12.2018	<u>0</u>	<u>13,273</u>	<u>16,655</u>	<u>67,677</u>	<u>660</u>	<u>212</u>	<u>78,943</u>	<u>177,420</u>
ცვეთის დარიცხვა	0	3,330	3,403	23,561	242	53	22,336	<u>52,925</u>
ცვეთის ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0	<u>0</u>
ნაშთი: 31.12.2019	<u>0</u>	<u>16,603</u>	<u>20,058</u>	<u>91,238</u>	<u>902</u>	<u>265</u>	<u>101,279</u>	<u>230,345</u>
ცვეთის დარიცხვა	0	2,710	3,358	46,174	1,690	334	64,836	<u>119,102</u>
ცვეთის ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0	<u>0</u>
ნაშთი: 31.12.2020	<u>0</u>	<u>19,313</u>	<u>23,416</u>	<u>137,412</u>	<u>2,592</u>	<u>599</u>	<u>166,115</u>	<u>349,447</u>
საბალანსო ღირებულება								
31-12-18	12,060	46,947	57,969	395,601	6,338	1,646	431,021	951,582
31-12-19	12,060	43,617	54,566	421,803	6,604	1,593	443,431	983,674
31-12-20	12,060	43,504	52,416	375,629	6,799	1,259	554,280	1,045,947

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

17. მსს ფასს-ის პირველად გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საწარმოს 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს-ით მომხმარებელ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

წინა საანგარიშგები პერიოდებში ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრული ჰქონდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. მსს ფასს-ის პირველად გამოყენების დროს განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდება მანამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან შესაბამისად, მსს ფასს-ის პირველად გამოყენებას არ გამოუწვევია ცვლილებები საწარმოს კაპიტალში და სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის 2016 წლის 31 დეკემბრისთვის.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დირექტორის მირ ხელმოწერილია და გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 აგვისტოს.